ეროვნული ბიბლიოთეკა



„37-ე წუთზე „არარატის" კარი ალებულ იქნა და გატანილ გოლს ორი ავტორი აღმოაჩნდა. ზარიამ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ოვსეპიანს და გავიდა კარში — 1:0".

სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი ზედა სურათზე.

ქვევით — ქუთაისის „ტორპედოსა" და ერევნის „არარატის" მატჩის კიდევ ერთი ფრაგმენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

●

(შეხვედრის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 77 (3561) 20 1968 წ. აპრილი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



## რეკორდის დაბრუნება

მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის ნ. პანკინმა 18 აპრილს სსრ კავშირს დაუბრუნა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1 წუთი, 06,2 წამი.

რეკორდი ახლა უკვე ოლიმპიურ დისტანციაზე დიდხანს ეკუთვნოდათ საბჭოთა მოცურავეებს. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ცხრილში დღესაცაა აღნიშნული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულის, ლენინგრადელი ვ. კოსინსკის შედეგი (1.06,7), რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმის დღეებშია დამყარებული. მაგრამ წლეულს, 19 თებერვალს, ბრაზილიელმა ხოსე სილვიო ფიოლამ რიო-დე-ჟანეიროში 1.06,4 აჩვენა.

და აი, მსოფლიო რეკორდი პირველად დაამყარა ნიჭიერმა სპორტსმენმა პანკინმა. იგი გამოვიდა მოსკოვის ჩემპიონატში, რომელიც ახალ 50-მეტრიან აუზში — „ოქტიაბრში" ჩატარდა. სპორტსმენთან ერთად გამარჯვების სიხარულს იზიარებს მისი აღმზრდელი ო. ხარლამოვაც.

ს. ბელიც-გეიმანი,
ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი.

## ახალი ამბები

● სტრასბურგი, 17 აპრილი. აქ დამთავრდა რკინიგზელი კალათბურთელი ვაჟების ევროპული ჩემპიონატი, რომელშიც წარმატება იზეიმა საბჭოთა გუნდმა. გადამწყვეტ მატჩში მან ანგარიშით 88:69 დაამარცხა პოლონელები. II ადგილზე გავიდნენ ბულგარელები, ხოლო III — რუმინელები.

● ტოკიო, 17 აპრილი. საბჭოთა ფრენბურთელების ნაკრებმა გუნდებმა თავიანთი იაპონური ტურნე გამარჯვებებით დაასრულეს: ქალებმა ანგარიშით 3.2 (15:9, 15:5, 6:15, 8:15, 15:12) დაამარცხეს „იასიკა", ხოლო ვაჟებმა — იაპონიის ნაკრები — 3:1 (8:15, 15:7, 15:8, 15:12). ამრიგად, სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა სამჯერ მოუგო შეხვედრა „იასიკას", ორჯერ — „კანებოს" და სამჯერ წააგო „ხიტატისთან". ვაჟები 8-ჯერ შეხვდნენ იაპონიის ნაკრებს. სტუმრებმა 6 მატჩი მოიგეს, 2 — წააგეს.

● ვინერ-ნოიშტადტი, 17 აპრილი. საბჭოთა ბადმინტონისტებმა, რომლებიც თავიანთ პირველ საზღვარგარეთულ მოგზაურობაში არიან, ავსტრიის ამ ქალაქში გამართეს შეხვედრა ქვემო ავსტრიის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4 (როგორც ცნობილია, პირველი მატჩი ვენაში სტუმრებმა ქვეყნის ნაკრებთან წააგეს — 1:7). დაუმარცხებლად განაგრძობს ასპარეზობას საბჭოთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 20 წლის კიეველი სტუდენტი ვ. შვაჩკო, რომელმაც ამჯერად სძლია დ. ჰოფერს — 18:14, 10:15, 18:17, მერე კი მოსკოველ ი. კლიმოვთან ერთად დაამარცხა ა. და დ. ჰოფერები — 13:15, 15:9, 15:11. 2 გამარჯვება იზეიმა კიეველმა სტუდენტმა ნინა კოსიაკმა: მან ჯერ დაამარცხა ლესმანი (11:3, 11:0), მერე კი მოსკოველ ნ. სუხარევასთან ერთად — ლესმან — ბაუერის წყვილი 15:5, 15:8. მოსკოველმა ნ. ნიკიტინმა აჯობა ჰ. ჰოფერს — 15:7, 15:12.

● რიგა, 18 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი კალათბურთში. ადგილობრივი ტტტ-ს ქალთა გუნდმა დაამარცხა პრაღის „სპარტა" — 76:45 (41:20). განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 25 აპრილს პრაღაში.

● ოულუ, 18 აპრილი. ფინეთის ძალოსანთა ჩემპიონატში მძიმე წონის ათლეტმა კ. ლახდენრანტმა სამჭიდში 502,5 კგ დააგროვა და 2,5 კგ-ით გააუმჯობესა ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების რეკორდი, რომელიც მ. ლინდროოს ეკუთვნოდა. დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ე. ანტილა — 282,5 კგ, კ. ლაჰტი — 320, ვ. რეპანენი — 362,5, ი. მურსუ — 397,5, ი. კაილაიარვი — 422,5 და კ. კანგასნიემი — 470.

## საქმეში მოსკოველები

## მეთოთხმეტედ!

მოსკოვი, 18 აპრილი. ცსკა-ს ჰოკეისტებმა ვადამდე მოიხვეჭეს სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლები: დღეს აქ ანგარიშით 7:3 დაამარცხეს ადგილობრივი „ლოკომოტივი" და ამ გამარჯვების შემდეგ მათ უკვე ველარავინ დაეწევა.

არმიელებმა წლეულს მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზეს — ამას წინათ მოპოვებულ საბჭოთა კავშირის თასს ახლა უძლიერესის წოდებაც დაუმატეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ჩემპიონის სახელი ცსკა-მ მეთოთხმეტედ მოიხვეჭა.

● ბამბერგი (გფრ), 19 აპრილი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის VII ტურში პ. კერესმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ტ. პეტროსიანთან, ხოლო ბ. ივკოვმა (იუგოსლავია) დაამარცხა ბამბერგელი ჰ.-გ. კესტლერი და ესტონელ დიდოსტატს დაეწია. ახლა ლიდერებს 5,5-5,5 ქულა აქვთ. მსოფლიო ჩემპიონი პეტროსიანი 5 ქულით III ადგილზეა.

## ბენტ ლარსენმა კვლავ ყველას აჯობა

მონტე-კარლო, 18 აპრილი. აქ დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომლის დასკვნით ტურში ლარსენმა წააგო ამერიკელ ბირნთან, ხოლო ბოტვინიკმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ დამიანოვიჩთან. ტურნირის პირველი ოთხეული ასეთია: I. ბ. ლარსენი (დანია) — 9,5 ქულა 13-დან, II. მ. ბოტვინიკი — 9, III-IV. ვ. სმისლოვი, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 8,5-8,5.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

## 9 ქულით... V ადგილზე

მინსკი, 19 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). პირველი წრის VII ტურში თბილისელებს ბედმა უმუხთლათ — იოლ მეტოქესთან მათ 2 ქულა დაკარგეს. თუმცა ბედი რა შუაშია: ლვოვის არმიელებთან ჩვენი გუნდი მეტად უხეიროდ, უღიმღამოდ თამაშობდა და პირველი ტაიმი წააგო კიდეც — 7:8. ამის შემდეგ ლვოველებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე შეხვედრას საკმაო უპირატესობით (20:16) იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში ცერცვაძემ მეტოქის კარში ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა. თბილისელებმა პრესინგს მიმართეს, მაგრამ ეს ტაქტიკური მანევრი კარგად ვერ განახორციელეს, დაკარგეს ბურთი, რითაც ისარგებლეს არმიელებმა და გაიმარჯვეს კიდეც — 21:19.

VIII ტურში თბილისის „ბურევესტნიკის" მეტოქე კრასნოდარელი თანაკლუბელები იყვნენ. მარცხის შემთხვევაში საქართველოს ხელბურთელებს 8 უძლიერესს შორის მოხვედრის შანსი ეკარგებოდათ. სწორედ ამან განაპირობა მათი თავიდანვე მძაფრი იერიშები, რასაც ტონი მისცა ფხაკაძის შესანიშნავმა თამაშმა. სათანადო უნდა მიეზღოს მეკარე აბაიშვილსაც, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი მოიგერია. თბილისის ხელბურთელები უმეტესად წინ იყვნენ (6:2, 9:5, 15:13, 18:16), მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე კრასნოდარელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 19:19. ბოლოს გუნდი ცერცვაძემ იხსნა — 20:19.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: VII ტური. „ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (კიევი) 22:23, „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „ბურევესტნიკი" (კრასნოდარი) 15:20, „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 15:20, „დაუგავა" (რიგა) — „კუნცევო" (მოსკოვი) 13:29, „პოლიტექნიკი" (მინსკი) — ასკ (ბაქო) 18:18. VIII ტური. „კუნცევო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 25:21, ასკ (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) 21:28, ასკ (კიევი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 12:22, ასკ (ლვოვი) — „პოლიტექნიკი" (მინსკი) 22:24, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა) 34:21.

გათამაშებას ლიდერობს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც 15 ქულა აქვს. მას 2 ქულით ჩამორჩება „კუნცევო". 11 ქულით III ადგილზეა კიევის ასკ. თბილისის „ბურევესტნიკი" 9 ქულით V ადგილზე იმყოფება.

ჯ. ენუქიძე.

ჭადრაკი

# სპასკი შეხვდება ლარსენს ან პორტიშს

**ხოხუმი, 19 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** მწვავე ბრძოლით აღინიშნა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური გელერ — სპასკის მატჩის VIII პარტია. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ორ დღეს გაგრძელდა, გელერმა ვერ შეძლო გარდატეხა შეეტანა ბრძოლაში. სპასკიმ სანუკვარ ყაიმს მიაღწია და მატჩიც მოიგო — 5,5:2,5.

ამრიგად, ორთაბრძოლა შეწყდა. ბ. სპასკი მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში შეხვდება ბ. ლარსენ (დანია) — ლ. პორტიშის (უნგრეთი) მატჩში გამარჯვებულს.

ისტორია გამეორდა: ისე, როგორც 1965 წელს — მსოფლიო პირველობის წინა ციკლში, სპასკიმ ამავე ანგარიშით ვადამდე დაამარცხა გელერი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ისინი ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდნენ.

მწარედ შეცდნენ ისინი, ვინც გელერს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას. ისინი სპასკიმ შეაცდინა. მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან მატჩის წაგების შემდეგ იგი თითქმის არ მონაწილეობდა დიდ ტურნირებში, ხოლო სადაც უთამაშია (სანტა-მონიკასა და ბევერვეიკის გარდა), სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ეს, ალბათ, სპასკისა და მისი მწვრთნელის, დიდოსტატ ი. ბონდარევსკის ღრმად ჩაფიქრებული სტრატეგიული ნაბიჯი ყოფილა.

გელერ — სპასკის მატჩში პრინციპული თეორიული და სპორტული ბრძოლა მიმდინარეობდა. ორივე შემთხვევაში გაიმარჯვა სპასკიმ. სპორტულ პაექრობაში მან 3 პარტია მოიგო და 5 ყაიმით დაამთავრა. მნიშვნელოვანია, რომ სამივე გამარჯვება სპასკიმ თეთრებით იზეიმა. ეს კი უმთავრესად თეორიულმა ბრძოლამ განაპირობა.

მეტოქეები მხოლოდ სიცილიურსა და ფრანგულ დაცვას მიმართავდნენ. სპასკიმ უარი თქვა სიცილიურ დაცვაში თეორიულ ნიუანსებზე — იგი კმაყოფილდებოდა მიტელშპილის პერსპექტიული პოზიციით, რომლის ღირსებათა გამოსაყენებლად უაღრესად თამამად იბრძოდა. სწორედ ამან განაპირობა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების — VI პარტიის შექმნაც. გელერი ვერ მოერია დაცვის პრობლემას. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ მასში უარყოფითი ემოციები გამოიწვია და თეთრებით ფრანგული დაცვის წინააღმდეგ ვერც ერთხელ ვერ დაეუფლა ინიციატივას.

მატჩმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ჭადრაკი, თუკი დიდოსტატები შემოქმედებითად მოეკიდებიან ბრძოლას, იდეებისა და შესაძლებლობების უშრეტი წყაროა.

სპასკი პირველი ნახევარფინალისტია. ვინ იქნება მისი მეტოქე — ლარსენი თუ პორტიში? ამას მხოლოდ 20 მაისისთვის შევიტყობთ, ვინაიდან დიდოსტატები იუგოსლავიაში ჭადრაკით გაწყობილ მაგიდას მხოლოდ 5 მაისს მიუსხდებიან.

ჩვენი კომენტატორი

როგორია პროგნოზები? ვისაც კი ამას წინათ მოსკოვში ვკითხეთ, ნახევარფინალისტად ყველამ ლარსენი დაასახელა. ამ შეხედულებას თვით ლარსენიც გვიმტკიცებს დაჟინებით. მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირში მან არა მარტო I ადგილი დაიკავა, რითაც უკვე მეორედ (პირველად, შარშან მალიორკაში) ჩამოიტოვა მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი, არამედ პირადი შეხვედრაც მოუგო პორტიშს.

თუ კი პროგნოზი გამართლდა, სპასკი — ლარსენის მატჩი მართლაც დიდი საჭადრაკო მოვლენა იქნება. ეს ორთაბრძოლა ივნისში გაიმართება.

**თ. გიორგაძე.**

# მასწავლებელთა შეჯიბრება

ამას წინათ თბილისში დამთავრდა მასწავლებელთა რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში. ვაჟთა ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა, 36 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ლ. ჯახუამ (ქუთაისი) — 6 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ჯ. ინჯიამ და გ. გვერდწითელმა (ორივე — გორი) — 5,5-5,5.

ქალთა პირველობაში მხოლოდ 3 (!) მასწავლებელი მონაწილეობდა. მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა ზესტაფონელი ლ. მჭედლიძე.

**გ. მაჟავარიანი,**
**პირველობის მთავარი მსაჯი.**

# კარგი სტარტი

**ლენინგრადი, 18 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** აქ დაიწყო „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ქალთა საჭადრაკო პირველობა. ბრძოლაში ჩაება 14 სპორტსმენი: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ლ. რუდენკო (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი), ოსტატები კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), ე. კაკაბაძე (თბილისი), ე. ბიშარდი (ლენინგრადი) და პირველთანრიგოსნები ლენინგრადიდან, ვოლგოგრადიდან, მინსკიდან, პსკოვიდან და ჩერნოვციდან.

კარგად აიღო სტარტი ვოლგოგრადელმა ტ. კონსტანტინოვამ (ცნობილი საერთაშორისო ოსტატის ი. გურფინკელის ქალიშვილი), რომელმაც 4 ტურში 3 ქულა მოაგროვა.

თავი არც თბილისელმა ოსტატებმა შეირცხვინეს: ჩაიკოვსკაიას 2,5 ქულა აქვს, ე. კაკაბაძეს—2 ქულა და 2 გადადებული პარტია. აღსანიშნავია, რომ კაკაბაძემ დაამარცხა ბიშარდი და სკეგინა.

**ძ. გოგიავა,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

# მეფე დაამარცხეთ

მ. ფარცხალაძისა და ტ. ამიროვის ხუთსვლიანი საჭადრაკო ამოცანა, რომელიც „ლელოს" 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, სწორად ამოხსნეს: ო. ობოლაძემ (ტყიბულის რაიონი, სოფ. ხრესილი), გ. ერთგულაშვილმა (ახმეტა), ლ. ბასილაიამ (ხობი) და მ. კურტანიძემ (ორჯონიკიძე).

ამოცანის ამოხსნაა: 1. მg5 f4 2. ე:f4 მფ:d5 3. ეf5+ e5 4. ეf3!; 2. ... e6 3. მ:e6 მფ:d5 4. მg7.




## „პრავდის" პრიზზე

აჭარის დედაქალაქში გაიმართა „კოლმეურნისა" და „განთიადის" საოლქო საბჭოების მძლეოსნური კროსი „პრავდის" პრიზზე. სოფლის სპორტსმენებში პირველი ადგილი დაიკავეს: მ. ტკაჩმა, ნ. მელნიკმა, ს. მოგუსევმა, ს. ვლასენკომ (ყველა—ქობულეთი), მ. იაკობაძემ და ვ. სიმონოვმა (ორივე — ბათუმის რაიონი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ქობულეთის, ხულოს, ბათუმის, ქედისა და შუახევის რაიონების გუნდები იბრძოდნენ. პირველობა ქობულეთელებმა დაისაკუთრეს.

„განთიადის" კროსში მონაწილეობდნენ ტყავის, მანქანათსაშენი, გემსაშენი, ელექტროხელსაწყოების, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკის, ნავთობგადასატვირთი ბაზისა და სხვა კოლექტივები. სულ სტარტზე 247 მძლეოსანი გამოვიდა. გუნდური პირველობა ხის დამმუშავებელი კომბინატის წარმომადგენლებმა მოიგეს. პირად პირველობაში ყველას აჯობეს ს. მარჩენკომ (ტყავის ქარხანა), ნ. ნანოიანმა (ხის კომბინატი), ა. ძიძიგურმა (ელექტროხელსაწყოების ქარხანა).

**ო. მურვანიძე.**
ბათუმი. (ჩვენი კორ.).

## სამ ჯგუფში

ზუგდიდის მძლეოსნურ კროსში გამარჯვებისთვის 40 ფიზკულტურული კოლექტივის ათასამდე სპორტსმენი იბრძოდა. 8-წლიანი სკოლების მოსწავლეები 400 და 800 მეტრზე ასპარეზობდნენ. მათში ყველას ახალსოფლელებმა აჯობეს. საშუალო სკოლების მძლეოსანთა შეჯიბრება 500 და 1000 მეტრზე გაიმართა. ჩემპიონობა აბასთუმნელებმა დაისაკუთრეს.

საწარმოთა და კოლმეურნეობების სპორტსმენებისთვის პროგრამაში იყო 1000 (ქალები) და 5000 (ვაჟები) მეტრზე რბენა. გუნდური პირველობა მოიგო შარშანდელმა ჩემპიონმა — ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის ნაკრებმა. ქალებში უძლიერესი იყო რუხელი ლ. ქაჭუა, ვაჟებში — ზ. ზარქუა (ზედა ეწერის ტექნიკუმი).

**ბ. ალშიბაია.**
ზუგდიდი. (ჩვენი კორ.).

## რაჭის ბილიკებზე

ონის რაიონის მძლეოსანთა პირად-გუნდურ კროსში 11 კოლექტივი მონაწილეობდა. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. საერთო პირველობა ირის საშუალო სკოლის გუნდმა მოიგო. საწარმოებში უძლიერესი იყო მე-10 სამკერვალო ფაბრიკის გუნდი.

პირად შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ მ. ჯაფარიძე და თ. გობეჯიშვილი (ონის მე-2 სკოლა), ა. მაისურაძე (ირის სკოლა), მ. არჩვაძე (კოოპკავშირი), ნ. კერვალიძე (სორის სკოლა) და სხვ.

**დ. ხახიაშვილი,**
ონი. (ჩვენი კორ.).





საგზატკეცილო ველორბოლა

# შავი ზღვის სამდღიანი...

სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციის ინიციატივით ოდესაში გაიმართა სამდღიანი ასპარეზობა, რომელსაც შავი ზღვის ველოტური ეწოდება. სამ ეტაპად ჩატარებულ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 29 გუნდი მონაწილეობდა. სპორტსმენებს 340 კილომეტრი უნდა გაევლოთ. პირველი ეტაპი იყო გზა ოდესიდან ნიკოლაევამდე. რთული ტრასის მიუხედავად, მონაწილეებმა, რომელთა რიცხვი 150-ს აღემატებოდა, საათში საშუალოდ 43,5 კმ სისწრაფე განავითარეს.

მეორე დღეს ველოსიპედისტებმა გეზი ვოზნესენსკისკენ აიღეს, საიდანაც მესამე ეტაპის მონაწილენი ოდესაში დაბრუნდნენ. სამდღიანი ველორბოლა მოიგო ვილნიუსელმა პ. კნეჟამ. ლიდერის საშუალო სიჩქარე საათში 40,9 კმ იყო.

გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს მასპინძლებმა — ოდესელმა მრბოლელებმა. ტურნირში მონაწილეობდა თბილისის 2 კოლექტივი. პირველმა ნაკრებმა (ო. სუჯიაშვილი, ი. კრასავცევი, ს. გრიშკევიჩი, ა. ჩერნოუსოვი, ე. მელკოვი) საბოლოოდ III ადგილი დაიკავა, მეორე გუნდი (ა. ლომიძე, შ. დაიაური, ა. ჯღარკავა, ა. კოსტეცკი და ვ. მალცევი) კი V ადგილზე გავიდა.

**ა. გუნია,**
**სპორტის ოსტატი.**

# სოჭის ტრადიციული...

**სოჭი, 17 აპრილი.** დღეს აქ დამთავრდა საკავშირო საგაზაფხულო ველორბოლა. ამ ხუთდღიან შეჯიბრებაში ყველას აჯობა დინამოელმა ე. სავინმა (მოსკოვის ოლქი). საკურორტო ქალაქის ქუჩებსა და ძალიან დახლართულ, აღმართ-დაღმართიან სამთო ტრასებზე მან 577 კმ 14 საათში, 24 წუთსა და 12,8 წამში დაფარა.

II ადგილი მოიპოვა ს. შეპელმა (დუშანბე) — 14:28.05,7, ხოლო III — ი. პომინოვმა (ტაშკენტი)— 14:28.11,0.

დღეს მრბოლელებმა ორჯერ აიღეს სტარტი. დილით ადლერის მახლობლად გაიმართა 39 კილომეტრზე პირადი რბოლა დაყოფილი სტარტით. გაიმარჯვა მინსკელმა ვ. ტკაჩენკომ — 55.15,6.

დღის მეორე ნახევარში ჩატარდა წრიული ჯგუფური რბოლა (თითქმის სამკილომეტრნახევრიანი წრე მონაწილეებს 22-ჯერ უნდა გაევლოთ) 75 კილომეტრზე. ფინიშთან პირველი იყო კიშინიოველი ი. პოლუპანოვი — 1:42.53,8.

## თელავი

სოფელ ფშავლის მინდორზე შედგა ადგილობრივი და ჯულაანელი ფეხბურთელების შეხვედრა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ფშაველელებმა.

**შ. ჯაჭვაძე.**

## ზუგდიდი

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოედანზე 8 დღეს გაგრძელდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს ფრენბურთელთა პირველობა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის და ინგირის მეურნეობის ვაჟთა გუნდების ფინალურ მატჩში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 2:1. სამაგიეროდ, ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის ქალთა გუნდმა ფინალში დაამარცხა ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი — 2:0.

**ა. ბაბილუა.**

## ახმეტა

წინუბნის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეებმა შაშში შეჯიბრება ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს. ბიჭებში ყველას აჯობა შ. ქოჩიშვილმა, გოგონებში — ე. ქელეხსაშვილმა.

**დ. ტერტერაშვილი.**

წულუკიძის რაიონის სოფელ ძეძილეთის საშუალო სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს ფიზაღზრდის მასწავლებელი ი. ჩიხლაძე, რომელიც მოსწავლეებს სპორტული თამაშებისადმი უნერგავს სიყვარულს. მაგალითად, მის მიერ აღზრდილი 5 გოგონა რაიონის ხელბურთელთა ნაკრებ გუნდში თამაშობს.

**სურათებზე:** ზევით — ხელბურთელთა წვრთნის მომენტი; ქვევით — ი. ჩიხლაძე არჩევს განვლილ მეცადინეობას.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

# გადაუჭრელი პრობლემა

მოსკოვი. ცსკა-ს სპორტდარბაზი. 17 აპრილი.
ცსკა — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 77:59 (42:32).
ცსკა: კულკოვი (2), ასტახოვი (8), სელიხოვი (12), ნესტეროვი (11), კაპრანოვი (9), ტრავინი (14), კოვირკინი (6), კოვალიოვი (5), მედვედევი (8), ბოროდინი (2).
„ბურევესტნიკი": ლეჟავა (24), ბიჭიაშვილი (8), ლომაძე (10), ჯუღელი (11), ჩხიკვაძე (2), არუთინოვი (4), გლურჯიძე, ფირცხალაიშვილი.
მსაჯები: ვ. ტიჩინინი (ლუგანსკი), ლ. არსლანოვი (მოსკოვი).

მოსკოვი. ცსკა-ს სპორტდარბაზი. 18 აპრილი.
ცსკა — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 84:70 (46:37).
ცსკა: კულკოვი (5), ასტახოვი (4), სელიხოვი (8), ნესტეროვი (22), კაპრანოვი (13), ტრავინი (8), კოვალიოვი (12), მედვედევი (2), ბოროდინი (10).
„ბურევესტნიკი": მაისურაძე (12), ლეჟავა (6), ჯუღელი (22), ჩხიკვაძე (16), მხეიძე (4), ბიჭიაშვილი (8), ფირცხალაიშვილი (2).
მსაჯები: ლ. არსლანოვი, რ. ავეტიანი (ტაშკენტი).

ორი ძირითადი მოთამაშის გარეშე „ბურევესტნიკი", რა თქმა უნდა, განწირული იყო მოსკოვის ტურნეში. დაშავებული მანაგაძე და სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ექსპრომტად მივლინებული კოვალენკო ვეებერთელა სარგებლობას მოუტანდნენ გუნდს, ვინაიდან თბილისის „დინამოსთან" ორი მეტად მძიმე მატჩის შემდეგ ცსკა თითქმის წელში იყო გაწყვეტილი.

თბილისელებმა მატჩი საკმაოდ ორიგინალური ხუთეულით დაიწყეს — გლურჯიძე, ლომაძე, ბიჭიაშვილი, ლეჟავა, მხეიძე. არმიელებმა უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ბრძოლაში ყოველი შემთხვევისთვის პირველი შემადგენლობა ჩააბეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, მოსკოველთა მწვრთნელი ე. ალექსეევი დაუშინებია „ბურევესტნიკის" ბოლო გამარჯვებას სვერდლოვსკში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ არმიელებმა ბევრი უსიამოვნო წუთი განიცადეს. მწვრთნელის სიფრთხილე სავსებით გამართლებული იყო თუნდაც იმიტომ, რომ გუნდი ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვის და საკმაოდ რეალურადაც.

მატჩის პირველმა წუთებმა მეტოქეთა ძლიერი და სუსტი მხარეები გამოავლინა. ტანდაბალი თბილისელების მთავარი კოზირი — სწრაფი შეტევა ვერ ანაზღაურებდა იმ დანაკლისს, რასაც ისინი „ზედა სართულებზე" ბრძოლისას განიცდიდნენ. ორი ორმეტრიანი ცენტრალური თავდამსხმელი — ნესტეროვი და მედვედევი ხელშეუშლელად ბატონობდნენ ორთავე ფართან და ეს უპირატესობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა წარმატებისთვის. ნესტეროვმა პირველ 10 წუთში თავის გუნდს 11 ქულა შესძინა, ხოლო მედვედევის აქტიური თამაშის შედეგად ფარიდან ასხლეტილ ბურთზე ცსკა-ს განუკითხავი კონტროლი დაწესდა.

მასპინძლები, როგორც ჩანს, იოლი გამარჯვების პერსპექტივით იყვნენ გატაცებული და ერთ ხანს ვერც ამჩნევდნენ, რომ სწრაფი ტემპი „ბურევესტნიკს" უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე მათ, ხოლო, როცა შეამჩნიეს, საკმაოდ უსიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა. საჭირო გახდა საგანგებო ზომების მიღება თუნდაც იმისთვის, რომ გულშემატკივართა თვალში მოსალოდნელი გამარჯვების შთაბეჭდილება არ შესუსტებულიყო.

და აი, ასტახოვ — კულკოვის დუეტი უფრო გამოცდილმა წყვილმა (ტრავინი — სელიხოვი) შეცვალა, რამაც ერთბაშად გადაახალისა ბრძოლის საერთო ნახაზი. თამაშში ჩაებნენ, აგრეთვე, დასვენებული ცენტრალური თავდამსხმელები კოვირკინი და ბოროდინი. მოთამაშეები შეცვალა „ბურევესტნიკმაც". ლომაძის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა ჯუღელი, მაგრამ არც ამან გადაწყვიტა სიმაღლის პრობლემა.

არმიელებმა შესვენების შემდეგ უფრო ძლიერად შეუტიეს. „ბურევესტნიკი" (შესვენების შემდეგ თბილისელთა მწვრთნელმა თამაშის საშუალება ახალგაზრდებს მისცა) ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა...

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მეორე შეხვედრაში თბილისელთა მწვრთნელმა თავიდანვე ახალგაზრდები გამოიყვანა, მაგრამ არმიელთა უპირატესობამ სიმაღლეში ამჯერადაც იჩინა თავი და ბურევესტნიკელები მეორედ დამარცხდნენ. განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან ჯუღელი და მაისურაძე, რომლებმაც მთელი მატჩი შესანიშნავად ჩაატარეს.

**ნ. ბუზუშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 40 | 28 | 12 | 2957—2764 | 28 |
| ასკ (კიევი) | 43 | 28 | 15 | 3028—2839 | 28 |
| ცსკა | 44 | 28 | 16 | 2936—2762 | 28 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 40 | 25 | 15 | 2894—2823 | 25 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 42 | 24 | 18 | 2744—2682 | 24 |
| „კალევი" (ტარტუ) | 42 | 21 | 21 | 2765—2707 | 21 |
| ვეფ (რიგა) | 39 | 20 | 19 | 2740—2739 | 20 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 41 | 19 | 22 | 2715—2693 | 19 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 42 | 9 | 33 | 2857—3231 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 41 | 8 | 33 | 3051—3503 | 8 |

## 79:70, 87:83

**კიევი, 18 აპრილი.** გუშინ ლენინგრადის „სპარტაკმა" რევანში აიღო ადგილობრივ არმიელებთან წინადღით წაგებისთვის — 79:70 (44:31).

**ბაქო, 18 აპრილი.** რიგის ვეფ-მა დღეს აქ დაამარცხა ადგილობრივი „ბურევესტნიკი" — 87:83 (45:41).

## ხელიხის 24 პრიზიორი

როგორც ცნობილია, ალმა-ათასა და კუიბიშევში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

მოგვყავს პრიზიორთა სამეულები:

**უმძიმესი წონა:** ი. მიხაილიშინი (ლვოვი), ნ. ფალკოვი (ბარნაული), ს. რიბალკო (ზაპოროჟიე).

**მძიმე:** გ. ზახარიანი (ერევანი), ვ. ტროსტიანსკი (კიევი), ვ. ბაბაჩანახი (ვოლგოგრადი).

**ნახევრადმძიმე:** ი. ზაიცევი (მოსკოვი), ს. აგამოვი (ერევანი), ნ. ვოტინცევი (ნოვოსიბირსკი).

**მსუბუქი:** გ. საპუნოვი (მოსკოვის ოლქი), ე. ნიკიფოროვი (ფრუნზე), რ. კამალოვი (ყაზანი).

**ნახევრადსაშუალო:** ვ. იგლევი (მოსკოვის ოლქი), ვ. იგუმენოვი (ომსკი), ს. აბდულაევი (ლენინგრადი).

**საშუალო:** ო. ბლიაძე, თ. მაჭავარიანი (ორივე — თბილისი), ვ. ოლეინიკი (ნოვოკუზნეცკი).

**ნახევრადმსუბუქი:** ვ. ანისიმოვი (მოსკოვი), რ. ბაგდონასი (ვილნიუსი), მ. ჩიბურდანიძე (თბილისი).

**მძიმე:** ვ. სუსიჩი (მინსკი), ა. როშჩინი (ლენინგრადი), ვ. აბელენცევი (ვოლგოგრადი).

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

შედგა მორიგი შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

ეს იყო შედეგიანი ტური: 8 მატჩში გატანილ იქნა 19 გოლი. მოგვყავს შეხვედრათა შედეგები და გოლების ავტორთა ვინაობა:

„დინამო" (კიევი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:1. ბიშოვეცი („დინამო"), ზალკიავიჩუსი („შახტიორი");

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ზარია" (ლუგანსკი) 4:0. ბოკატოვი, ზუბკოვი, სეკეჩი (2);

„დინამო" (მინსკი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 2:0. პოგალნიკოვი, კაბერსკი;

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ცსკა 0:0.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 2:2. იუნუსოვი, იბრაგიმოვი („პახტაკორი"), გონჩაროვი (2).

18 აპრილს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" შინ დაამარცხა კიროვაბადის „დინამო" (2:1). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კაზაკოვმა და ჟუკოვმა. საპასუხო გოლის ავტორია ეინულაევი.



გაიმართა კიდევ 2 მატჩი.

სოხუმის დინამოელებმა წააგეს თამაში ოქტემბერიანში ადგილობრივ „სევანთან" — 1:2, ხოლო კაფანის „ლერნაგორცმა" მოუგო ფოთის „კოლხეთს" — 1:0.

სსრ კავშირის პირველობა

# ორი თამაში ორი გამარჯვება

## თბილისელები როსტოვში...

როსტოვის არმიელთა და თბილისის „დინამოს" შეხვედრას დიდი ინტერესით მოელოდნენ. როგორც ერთმა, ისე მეორე გუნდმა ერთობ უიღბლოდ აიღო გათამაშების სტარტი და ყველა მოელოდა უშეღავათო, მაქსიმალურად დაძაბულ ბრძოლას გამარჯვებისთვის, მხოლოდ გამარჯვებისთვის.

მატჩის დასაწყისი კარგს არას უქადდა დინამოელებს. საქმე მხოლოდ ის კი არ გახლდათ, რომ პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს. თბილისელებმა თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში ვერ მოძებნეს თავიანთი ნამდვილი თამაში, ხშირი იყო შეცდომები დაცვაში, არ ვარგოდა ურთიერთმოქმედება მეკარესთან, ხოლო თავდამსხმელები შეტევისას ვერ პოულობდნენ დროსა და საშუალებას დამამთავრებელი დარტყმებისთვის.

გოლი, რომელიც არმიელთა თავდამსხმელმა ბუროვმა გაიტანა, მთლიანად თბილისელთა დაცვისა და მეკარის შეცდომის ბრალია. როსტოველი მარტოდმარტო იმყოფებოდა მოპირდაპირე 4 მცველსა და ურუშაძის წინაშე და, მიუხედავად ძალთა ასეთი უთანასწორობისა, მან მაინც შეძლო აქ კედელში გასვლა და ანგარიშის გახსნა — 1:0.

პირველი ტაიმის სრულ საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა დინამოელთა თამაში შესვენების შემდეგ, კერძოდ, შეუდარებლად გამოცოცხლდა თავდასხმა. გ. ნოდიამ შეძლო რამდენიმე აგრესიული გარღვევა, გააქტიურდა გავაშელი, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კუტივაძე. მის მიერ მინდვრის შუაგულში წამოწყებული კომბინაციები სახიფათოდ გრძელდებოდა როგორც ფლანგებზე, ისე ცენტრშიც. გარდა ამისა, კუტივაძე არაერთხელ გავიდა კარის ახალგ პოზიციაში.

როსტოველებმა ველარაფერი გააწყეს და გავაშელის მიერ გატანილი 2 გოლი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ბევრი შესაძლებლობიდან, რომლებიც დინამოელებს ჰქონდათ.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ურუშაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე (ქიქავა), ძოძუაშვილი, კუტივაძე, ხურცილავა, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

რამდენიმე სიტყვა დუბლიორთა მატჩზე. იგი მოიგეს დინამოელებმა — 1:0 (გოლი გაიტანა ქიქავამ), მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. კოტრიკაძის თამაში. იგი ამ დღეს გამოდიოდა... ცენტრალური მცველის პოსტზე და უნდა ითქვას, რომ მინდორზე მყოფთაგან ყველაზე კარგად ითამაშა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
როსტოვი.

## ქუთაისელები საკუთარ მინდორზე...

IV ტურისთვის ქუთაისის „ტორპედოს" სახარბიელო არაფერი ჰქონდა: 3 მატჩი და მხოლოდ 1 ქულა. ამდენად, ერევნის „არარატთან" შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მასპინძლებმაც სწორედ ისე დაიწყეს თამაში, როგორც მათი ამოცანაა შეეფერებოდა: მაქსიმალურ ტემპში, აგრესიულად, დიდი მონდომებით.

„არარატს" გაუჭირდა პირველივე წუთებიდან. მინდორზე გაჩაღებული ბრძოლის სურათის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ მთელი ტაიმის განმავლობაში ერევნელებმა სულ ორჯერ დაარტყეს კარისკენ. პირველად ეს გააკეთა ზანაზანიანმა და კვასხვაძემ სულ იოლად აიღო ბურთი, ხოლო შემდეგ ევიაზარიანმა ააცილა მიზანს. დანარჩენ შემთხვევებში თამაშის მიმართულება იყო „ტორპედოს" კარიდან — „არარატისკენ".

„ტორპედოს" ანგარიშის გახსნა შეეძლო ჯერ კიდევ მე-5 წუთზე, როცა ასიტაშვილმა ახლოდან ააცილა ბურთი მიზანს. შემდეგ ერევნელთა მეკარე აბრამიანმა გადაარჩინა კარი. მასპინძელთა იერიშები სულ უფრო ძლიერდებოდა და მოსახდენი, მართალია, დიდი მოგვიანებით, მაინც მოხდა. 37-ე წუთზე „არარატის" კარი აღებულ იქნა და გატანილ გოლს ორი ავტორი აღმოაჩნდა. ზარიამ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ოვსეპიანს და გავიდა კარში — 1:0.

ასევე გრძელდებოდა თამაში მეორე ტაიმშიც. ტორპედოელები აქტიურად უტევდნენ. „არარატის" კარისკენ ზედიზედ ინიშნებოდა კუთხურები, საჯარიმოები, ნაღდი ბურთები ვერ გაიტანეს ვეკუამ, ხაჟალიამ, ხერხაძემ...

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ზარია, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე.

**შ. ნიჟარაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ქუთაისი.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—0 | 5 |
| „დინამო" (კიევი) | 4 | 1 | 3 | 0 | 3—1 | 5 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 3 | 1 | 2 | 0 | 4—2 | 4 |
| ცსკა | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 3 | 1 | 2 | 0 | 5—4 | 4 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—2 | 4 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—2 | 4 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 4 | 0 | 4 | 0 | 4—4 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—3 | 4 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 4 | 1 | 2 | 1 | 1—4 | 4 |
| „არარატი" (ერევანი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—2 | 3 |
| „დინამო" (მინსკი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—1 | 3 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 3 | 1 | 1 | 1 | 4—4 | 3 |
| „დინამო" (თბილისი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 3 | 1 | 1 | 1 | 1—2 | 3 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—6 | 3 |
| ასკ (როსტოვი) | 3 | 0 | 2 | 1 | 3—4 | 2 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 3 | 0 | 2 | 1 | 1—3 | 2 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—3 | 2 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 3 | 0 | 0 | 3 | 0—5 | 0 |

## სამი ცნობა ევროპის პირველობიდან

● **ლიონი, 17 აპრილი.** საფრანგეთის ამ ქალაქის სპორტის სასახლეში დღეს დაწყებულმა ევროპულმა ჩემპიონატმა მაგიდის ჩოგბურთში 29 სახელმწიფოს 200-ზე მეტ მოთამაშეს მოუყარა თავი. საბჭოთა ნაკრებში 9 სპორტსმენია: მოსკოველი ზოია რუდნოვა, კიეველი სვეტლანა გრინბერგი, ბაქოელი რიტა პოლოსოვა, ოდესელი გალინა ერიომენკო, მოსკოველები ანატოლი ამელინი და სტანისლავ გომოზკოვი, ერევნელი გეგამ ვარდანიანი, რიგელი ულდის ეგლიტისი და თბილისელი სარქის სარხოიანი. გუნდური ტურნირის გამარჯვებულები 21 აპრილს გამოვლინდებიან, ხოლო პირად შეჯიბრებებში ოქროს მედლების მფლობელები — 24 აპრილს.

● **ლიონი, 18 აპრილი.** მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ჩემპიონატი ადგილობრივ სპორტის სასახლეში დიდძალ მაყურებელს იზიდავს. ფავორიტებმა საკმაოდ იოლად მიიღეს ნახევარფინალური გუნდური შეჯიბრებების საგზურები. მათ შორის აღმოჩნდნენ საბჭოთა გუნდებიც, რომლებმაც ქვეჯგუფებში შოტლანდიელებთან გამარჯვების შემდეგ დაამარცხეს: ქალებმა — ფინელები (3:0), ხოლო ვაჟებმა — ლუქსემბურგის წარმომადგენლები (5:0). ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრამ. სტუმრებმა, რომლებიც ერთ-ერთი უძლიერესნი არიან ევროპაში, დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:1. ერთადერთი ქულა თავის გუნდს მოუტანა ჟაკ სეკრეტენმა, რომელმაც ფარ-ხმალი დააყრევინა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ლიდერს ი. სტანეკს. აი, ნახევარფინალური ჯგუფებიც — ქალები: I. ინგლისი, უნგრეთი, გფრ, პოლონეთი; II. სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, შვეცია — გდრ-ის მატჩში გამარჯვებული; ვაჟები: I. ინგლისი, სსრ კავშირი, იუგოსლავია, გფრ; II. შვეცია, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი. ნახევარფინალებში გამარჯვებულნი გადამწყვეტ მატჩში ოქროს მედლებს გაითამაშებენ, ხოლო II ადგილებზე გასულნი — ბრინჯაოს მედლებს და ა. შ.

● **ლიონი, 19 აპრილი.** ჩვენმა ვაჟთა გუნდმა ფინალის გზაზე ორი ნაბიჯი გადადგა წინ: ნახევარფინალურ შეხვედრებში დაამარცხა ჯერ ინგლისელები (5:2), შემდეგ გფრ-ის ნაკრები (5:4). ახლა ჩვენები უნდა შეხვდნენ იუგოსლავიელებს და ეს შეხვედრა გადაწყვეტს, თუ ვინ იბრძოლებს ოქროს მედლებისთვის. ჯერჯერობით არც იუგოსლაველი ჩოგბურთელები დამარცხებულან. მათ მოუგეს ინგლისის (5:1) და გფრ-ის (5:4) გუნდებს. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში ლიდერობენ კონტინენტის ჩემპიონები — შვედები, რომელთაც იოლად მოუგეს ჩეხოსლოვაკიელთა ძლიერ გუნდს (5:1) და უნგრელებს (5:2). სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მხოლოდ ერთი ნახევარფინალური მატჩი ჩაატარა: მოუგო რუმინელებს — 3:1. მეორე ჯგუფში გაიმართა ახლანდელი ჩემპიონების — უნგრელი სპორტსმენების მატჩი ამ ტიტულის ადრინდელ მფლობელებთან — ინგლისელებთან. შეხვედრა მოიგეს უნგრელებმა — 3:2. წინასწარი შეჯიბრებები შედარებით მშვიდობიანი იყო, ნახევარფინალური შეხვედრები კი დაძაბულ ბრძოლაში ტარდება. მაგალითად, საბჭოთა ჩოგბურთელები გფრ-ის გუნდთან აგებდნენ (3:4), მაგრამ შეძლეს და ფინიშზე ძალიან მნიშვნელოვანი 2 ქულა მოიპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულთბილად გააცილეს

საქართველოს ბევრი ბრწყინვალე ტანმოვარჯიშე ჰყოლია, მაგრამ არც ერთი მათგანი ზეიმით არ გაუცილებიათ სარბიელის დატოვებისას, არ გაუცილებიათ განა იმიტომ, რომ არ იმსახურებდნენ, უბრალოდ, არ იყო ასეთი ტრადიცია.

...ვინც ორიოდე დღის წინ თბილისის ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში იყო, ამ ლამაზი ტრადიციის დაბადების მოწმე გახდა. სარბიელიდან აცილებდნენ არა ხანდაზმულ, თმაშევერცხლილ ვეტერანს, არამედ 28 წლის ვაჟკაცს.

ერთი შეხედვით, ოცდაცხრა წელი არაფერია, მაგრამ თუ ვიგულისხმებთ სპორტულ ასპარეზზე გატარებულ 17 წელს, ბევრი რამ ნათელი გახდება. ეს 17 წელი მკაცრ რეჟიმში, შრომაში გატარებული მთელი ცხოვრება და ვისაც ამ მხვერპლის გაღება შეუძლია, ის ჭეშმარიტი სპორტსმენია.

ნოდარ მაკალათიამ 12 წლისამ დაიწყო ტანვარჯიშში მეცადინეობა მწვრთნელ არჩილ პაპალაშვილთან. ეს იყო 1952 წელს. მისი სპორტული ბიოგრაფიაც სწორედ ამ დროიდან იწყება. მას შემდეგ ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეუდგამს ფეხი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, რამდენი დიდი წარმატება მოუპოვებია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნოდარ ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით. მსოფლიოს 11 ქვეყანაში გამოსულა და ყველგან ღირსეულად დაუცავს ქართული სპორტის სახელი.

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში „დინამოს“ მონათესავე სპორტსაზოგადოებებმა რვაჯერ ჩაატარეს საერთაშორისო ასპარეზობა. ნოდარმა ყველა შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და რვაჯერვე ოქრო-ვერცხლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

ნოდარ მაკალათია წლების მანძილზე იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, ბევრჯერ მოუპოვებია საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო ტიტული და გარდამავალი თასი. მისი ვარჯიში მუდამ გამოირჩეოდა გემოვნებით, დიდი სირთულით, მაღალი არტისტიზმით. უკანასკნელად ნოდარი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში გამოვიდა სარბიელზე. სპორტული ბრძოლისთვის მას ჯერ კიდევ შესწევს ძალა და ღონეც, მაგრამ ასპარეზი მასზე ახალგაზრდებს დაუთმო.

და აი, დგას მედლებით მკერდდამშვენებული, ვაჟკაცური, აღელვებული და ოდნავ დაბნეულიც. მეგობრები ახალ გზას ულოცავენ...



მაკალათიას გულთბილად მიესალმნენ საქართველოს მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში ს. ჯაიანი, საქართველოს კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ბ. მოისწრაფიშვილი, ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორი მ. ...აძე, საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი ო. ქორქია, თბილისის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე თ. სანებლიძე, თანაგუნდელები ა. მარიამიძე და ს. სხირტლაძე.

ნორჩ ტანმოვარჯიშეთა სახელით ნ. მაკალათიას სამახსოვრო თასი გადასცა დალი კილაძემ.

ალლუმზე ნოდარ მაკალათიამ ერთ-ერთი თავისი ოქროს მედალი ბავშვთა ცენტრალურ სპორტულ სკოლას გადასცა. ამ მედალს ყოველწლიურად გაითამაშებენ უმცროსი ასაკის ტანმოვარჯიშე ბიჭები.

გ. ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: ნ. მაკალათია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მოკლედ

● **მადრიდი.** ესპანეთის I ლიგის 16 გუნდიდან უკანასკნელი სეზონის განმავლობაში 12-მა დაარღვია კონტრაქტი მწვრთნელებთან. ასეთი რამ არ ახსოვს საერთაშორისო ფეხბურთს.

● **ბუენოს-აირესი.** არგენტინის ნაკრების ცნობილ მცველ ს. მარზოლინის კარგი აქტიორული მონაცემები აქვს. მან უკვე რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ტელესპექტაკლებში, ამასთან, მის მიერ შესრულებულ როლებს ჯერჯერობით ფეხბურთთან არაფერი აქვთ საერთო.

● **მილანი.** 25 წლის ჰ. ნილსენს, რომლის გადასვლა მილანის „ინტერში“ უიღბლო აღმოჩნდა, ფორმის შესანარჩუნებლად თითქმის მთელი წლის მანძილზე მოუხდა თამაში ამ კლუბთან არსებულ ჭაბუკთა გუნდში.

● **ლონდონი.** „ინგლისის I ლიგის კლუბები დიდი ჰონორარებით აშკარად რყვნიან ჭაბუკ ფეხბურთელებს“, — ასეთია სპორტულ მიმომხილველთა საერთო დასკვნა. ამას წინათ „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“ II ლიგის „ჰადერსფილდ ისგან“ 80 ათას გირვანქა სტერლინგად (!) შეიძინა თავდამსხმელი ე. პერკინსი, რომელიც მხოლოდ 19 წლისაა.

● **ლისაბონი.** „ბენფიკას“ ხელმძღვანელობამ მოაგვარა ურთიერთობა ცნობილ მარცხენა ვარემარბ სიმოესთან, რომელიც უცხოეთში წასვლით იმუქრებოდა. სიმოესი დაშოშმინდა და ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ბენფიკასთან“.

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს პრაღის „სპარტის“ ცენტრალურ თავდამსხმელ ი. იურკანინზე. იგი მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ უკვე სისტემატურად გამოდის ნაკრებში.

● **სოფია.** ბულგარეთის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციებმა დაადგინეს ამიერიდან ყოველწლიურად მოაწყონ ჭაბუკთა ნაკრები გუნდების ტურნირი. ეს შეჯიბრება რიგრიგობით ჩატარდება სამივე ქვეყანაში.

● **ბელგრადი.** ცნობილმა მწვრთნელმა ს. ბობეკმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ბელგრადის „პარტიზანთან“.

● **სტამბოლი.** ცნობილ კლუბ „გალათასარაის“ სათავეში ჩაუდგა თურგაი, რომელიც წლების განმავლობაში ნაკრების კაპიტანი იყო და საერთაშორისო კლასის მეკარედ ითვლებოდა.

● **ბრიუსელი.** გადადგა ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კ. ვან დერ შტოკი. მის გადადგომას უკავშირებენ ბელგიელთა მარცხს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში.

**უცხოეთის ფეხბურთის ამბები**

## მაცოლა სწავლობს ფსიქოლოგიას

„ინტერისა“ და იტალიის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელ ს. მაცოლას ახალი გატაცება აქვს — თამაშიდან თავისუფალ დროს სწავლობს ფსიქოლოგიას, ესწრება სპეციალურ კურსებს, კითხულობს დიდძალ ლიტერატურას. მაცოლა ფიქრობს, რომ ფსიქოლოგიას ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

მაცოლამ განაცხადა, რომ ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ მწვრთნელობას აპირებს, მწვრთნელი კი ყოველმხრივ განათლებული ადამიანი უნდა იყოს.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## 27 წლის შემდეგ ნაპოვნი

ეს იყო ტიან-შანის მთებში, სამხრეთ ყაზახეთში. მთამსვლელები ფრთხილი ნაბიჯით მიუყვებოდნენ თიუკსუს ყინვარის თავზე გადმოკიდებულ კლდოვან თხემს. მწვერვალზე მათ სიურპრიზი ელოდათ. გრანიტის ნატეხებისგან ამართულ ტრადიციულ პირამიდაში სპორტსმენებმა იპოვნეს დაჟანგული ქილა ბარათით: „მთამსვლელობის ინსტრუქტორებმა თ. როსოვამ, ი. მენჟულინმა, ვ. ზანარინმა, დ. სალანოვმა დაიპყრეს ეს მწვერვალი და პირველდამპყრობთა უფლებით „თავდაცვის პიკი“ უწოდეს მას. ვემშვიდობებით მთებს, მივეშურებით სამხედრო კომისარიატში, რათა წერაყინები შაშხანებით შევცვალოთ. საბჭოთა ხალხი გაიმარჯვებს! ხელმძღვანელი დ. სალანოვი. 1941 წლის 14 ივლისი.“

ეს ბარათი თითქმის ოცდაშვიდ წელიწადს იდო მწვერვალზე.

რა ბედი ეწიათ მწვერვალის დამპყრობთ?

აი, რა უპასუხა აას-ის კორესპონდენტს ამ შეკითხვაზე ყაზახეთის მთამსვლელობის ფედერაციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. გრუძინსკიმ.

— თამარ როსოვა ფრონტზე იყო სამხედრო ექიმად და ბევრ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე შემდეგ იგი მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და ახლა ალმაათის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს გადასცემს თავის ცოდნასა და გამოცდილებას. იური მენჟულინიც სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა, ახლა კი ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერმუშაკია. ვლადიმერ ზანარინი ომის შემდეგ ისევ მხატვრობას დაუბრუნდა. მხოლოდ მთამსვლელთა მამაცი ოთხეულის ხელმძღვანელი დიმიტრი სალანოვი ვერ დაბრუნდა რედაქციაში, სადაც იგი ფოტოკორესპონდენტად მუშაობდა. სალანოვი რეგულარული არმიის რიგებში იბრძოდა, შემდეგ პარტიზანებთან მოხვდა და ფაშისტებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს დაეცა გმირული სიკვდილით...

შუა თალგარის ხეობაში ალათაუს დათოვლილი ჟაქვის თავზე აღმართულა პიკი, რომელსაც მთამსვლელებმა დიდი სამამულო ომის გმირის დ. სალანოვის სახელი უწოდეს. ამ ღრუბლებში აზიდული ძეგლის სიმაღლე 4350 მეტრია.

ახლა ზაილის ალათაუს მთებში ხუთ მწვერვალს ჰქვია შინმოუსვლელი გმირი მთამსვლელების სახელი.

ი. მალიარი.

●

## იზრდება სპორტული ქალაქი

გორკში გაიხსნა ქალაქში უდიდესი დახურული აუზი „დელფინი“. წვრთნის დღეებში აქ ერთდროულად 70-ზე მეტ სპორტსმენს შეუძლია მეცადინეობა. ახალ აუზში უკვე ჩატარდა შეჯიბრებები ცურვაში, ხტომასა და წყალბურთში.

„დელფინი“ მეორე რგოლია გორკის დიდი სპორტული კომპლექსისა, რომელშიც შედის ახლახან გახსნილი სპორტის სასახლე ხელოვნური საციგურაოთი და 7 ათასი მაყურებლისთვის გათვალისწინებული ტრიბუნებით.

ტრადიციული ოქროს გასაღების გადაცემის შემდეგ აუზის შემქმნელები სპორტსმენთა რვასართულიანი სასტუმროსა და ოთხდარბაზიანი სპორტული კომპლექსის მშენებლობას შეუდგნენ.

უფრო გვიან ოკის ნაპირებზე დაიწყება ახალი სტადიონისა და მრავალრიცხოვანი მოედნების მშენებლობა.

გ. ზახაროვი.

## ბოსტონი კვლავ განზე გადგა

[illegible]

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. მსოფლიოს რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რალფ ბოსტონმა ამ მოკლე ხანში სამჯერ შეიცვალა შეხედულება ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდის ზანგი სპორტსმენების ბოიკოტის გამო. ამ საქმეში ბოსტონმა აჯობა იმ ამერიკელ პოლიტიკოსებსაც კი, რომლებიც პრეზიდენტის არჩევნების წელს პირადი გამორჩენის მიზნით პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად იცვლიან პოზიციას.

ბოსტონი ზანგი ათლეტია. შარშან შემოდგომით იგი არ შეუერთდა ზანგ სპორტსმენებს, რომლებმაც შეერთებულ შტატებში რასობრივ დისკრიმინაციას პროტესტი გამოუცხადეს. იგი ამტკიცებდა, პოლიტიკა სპორტსმენის საქმე არ არისო.

მემფისში გასროლილმა ტყვიამ ბოსტონი შეაძრწუნა და მრისხანე პროტესტისთვის აღძრა იგი: „მე არ მინდა მეხიკოში გამოვიდე იმ ამერიკის სახელით, რომელმაც მარტინ ლუთერ კინგი მოკლა“.

მაგრამ ერთი კვირაც არ გასულა და რალფ ბოსტონი კვლავ გაეთიშა ბოიკოტს. მან კორესპონდენტებს უთხრა: ეს „იმპულსური გადაწყვეტილება“ იყო, კინგის მკვლელობით თავზარდაცემული ვიყავი, ახლა კი კვლავ ვეცდები ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრასო.

რა მოსდის ბოსტონს? იგი აღიარებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რასიზმი არსებობს, მაგრამ არ უნდა მხარი დაუჭიროს თანამემამულეებს, რომელთაგან ბევრმა უკვე შესწირა სიცოცხლე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ბოსტონს არ სჯერა, რომ სპორტსმენების ბოიკოტი ხელს შეუწყობს რასიზმის წინააღმდეგ გაშლილ საპროტესტო მოძრაობას.

ბოსტონს სურს გაემიჯნოს ამერიკელ ზანგთა ბრძოლას თანასწორი მოქალაქეობრივი უფლებებისთვის. მას ყველაზე მეტად საკუთარი კეთილდღეობა აფიქრებს. თავისი ნიჭისა და მიღწევების წყალობით ბოსტონმა მოიპოვა შესაძლებლობა, რომ ბევრი მისი თანამოძმისგან განსხვავებით კოლეჯში ესწავლა და განათლება მიეღო. ამის საფასურს იგი სტადიონებზე და სპორტულ დარბაზებში გამოსვლით იხდის. თუ ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარს იტყვის, ბოსტონი ყოველგვარ პრივილეგიას უნდა გამოეთხოვოს. ამას გარდა, სპორტი, თუნდაც სამოყვარულო, ამერიკაში გვარიანი შემოსავლის წყაროა და ბოსტონს არ სურს ამ წყაროს დაკარგვა. იგი არც მალავს ამას: ფული სჭირდება მარტო განათლების მისაღებად კი არა, მომავალი კარიერისთვისაც.

მაშ ასე, რალფ ბოსტონმა მერკანტილური მოსაზრებებით უარი თქვა ამერიკელ ზანგთა ბრძოლაში მონაწილეობაზე. მას არ ეყო ვაჟკაცობა, რომელიც აქვს, მაგალითად, ჰარი ედვარდსს, წარსულში ცნობილ ზანგ სპორტსმენს, ახლა კი ფსიქოლოგიის პროფესორს. ედვარდსი არ შეუშინდა საფრთხეს და სათავეში ჩაუდგა შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდის საპროტესტო მოძრაობას. ამის გამო იგი უმუშევარი დარჩა, დაკარგა სამსახური, რომლისთვისაც, სხვათა შორის, კარგად უხდიდნენ. მას ახლაც დევნიან რასისტები. მაგრამ ედვარდსს აზრი არ შეუცვლია, პირიქით, მან გააათკეცა მონდომება და გარჯა, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. ბოიკოტის მომხრეთა რიცხვი იზრდება და უკვე ბევრმა ზანგმა ათლეტმა უარი თქვა მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

## ოსკარ სტეიტის ზედმეტი სითამამე

ძალოსანთა 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატი პოლონეთის დედაქალაქში ჩატარდება 22-28 სექტემბერს. ეს ვარშავაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა ძალოსნობისა და ფიზიკური კულტურის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ოსკარ სტეიტმა. სამწუხაროდ, გენერალურმა მდივანმა მეტისმეტად თამამად განაცხადა, რომ შესაძლოა ეს შეჯიბრება მხოლოდ ორი მოძრაობის — ატაცისა და აკვრის ჯამის მიხედვით ჩატარდეს და არა სამი მოძრაობისა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება.

სტეიტმა უკვე რამდენიმეჯერ აშკარად გამოხატა თავისი ცუდი დამოკიდებულება აჭიმვისადმი, რომელიც კლასიკური სამჭიდის აუცილებელ, შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ათლეტის ჰარმონიულობისა და მრავალმხრივობის მაჩვენებელია. შეჯიბრებებიდან აჭიმვის ამოღების მომხრეებმა უკვე ბევრჯერ მიიღეს საკადრისი პასუხი მწვრთნელთა და სპორტსმენთაგან, მათ შორის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთაგანაც. და აი, ახლა, როგორც ჩანს, სტეიტმა კვლავ გამოიყენა ტრიბუნა, რათა ზემოქმედება მოახდინოს საერთაშორისო ფედერაციაზე, რომელიც ამ საკითხს თავის სესიაზე (მეხიკო, ა. წ. ოქტომბერი) განიხილავს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ გაზეზე

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. 21 აპრილი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. 22-23 აპრილი. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 5 უე 04044